სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის მიხეილ კუტიბაშვილის

ანგარიში გაწეული მუშაობის

შესახებ (2023წ.-2024წ.)

2021 წლის 3 დეკემბრიდან ვარ სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნების“ თავმჯდომარე და საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის წევრი.

წლის საანგარიშო პერიოდში ჩავატარეთ 10 ფრაქციის სხდომა, ვესწრებოდი - 9 -ს. ჩატარდა კომისიის 10 სხდომა, დავესწარი 8 სხდომას. ასევე ბიუროს 24 სხდომიდან დავესწარი -16- ს, საკრებულოს 16 სესიიდან დავესწარი 15 სესიას. საკრებულოს მუშაობის პროცესში აქტიურად ვაფიქსირებდი საკუთარ პოზიციას.

საანგარიშო პერიოდში მქონდა ინდივიდუალური შეხვედრები მოსახლეობასთან. მოვისმინე მათი პრობლემური და პრიორიტეტული საკითხები.

წნორში განხორციელდა და მიმდინარეობს პროექტები, რომელშიც აქტიურად ვარ ჩართული.

კერძოდ:

1. დასრულდა სპორტული კომპლექსის მშენებლობა;
2. დასრულდა რუსთაველის ქუჩის რეაბილიტაცია;
3. დასრულდა ალაზნის ქუჩის რეაბილიტაცია;
4. მიმდინარეობს წნორის მესამე საჯარო სკოლის ეზოს კეთილმოწყობა;
5. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს გარე განათების მოწყობა: სარაჯიშვილის, სიხაშვილის, რუსთაველის, ნონეშვილის, აღმაშენებლის, ტაბიძის ქუჩების ჩიხებში.

მიხეილ კუტიბაშვილი.